გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 43
(11 704)

10 - 12 ივნისი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოგების წყურვილით ირლანდიაში

ირლანდია – საქართველო

გუშინ, დილის ჩარტერული რეისით დუბლინში გაფრინდა საქართველოს საფეხბურთო დელეგაცია. ქართველები „ბოლს ბრიჯ ოტელში" დაბინავდნენ. ეროვნული ნაკრებიც და ოლიმპიური გუნდიც პრაქტიკის სარბიზონ ვიწყებენ.

ინტენსიური ვარჯიშები და პრესკონფერენციები დასრულდა. უფროსები და რთული მატჩები ელით ჩვენებურთ, მაგრამ გარკვეული დანაკლისის მიუხედავად, ორივე გუნდი იმედიანადაა და დღეს და ხვალ მაქსიმალური შედეგს გეგმავენ. ოთხი დღის წინ გაემართლა ჩვენი მეტოქეების შესარჩევმა მატჩებმა ეროვნულ ნაკრებს, ირლანდიაში წარმატების შემთხვევაში, წინსულის, ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი დატოვა.

— „ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის დიდი სურვილი გვაქვს და ვფიქრობთ მოვიყოთ თამაში თუ თაფიდან წაგვეყრება, მასპინძლების პრობლემებს შევუქმნით, როდესაც თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ, ფსიქოლოგიურ განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ირლანდიაში გამარჯვებული გუნდის ფსიქოლოგიით მივიდვართ" — განაცხადა გამზადებული რამდენიმე დღით ადრე ეროვნული ნაკრების თავკაცმა იგო შუმაკმა. სამწუხარო ისაა, რომ ხელიდებულ მატჩში ნაკრებს ვერ დაეხმარებიან: კობაიშვილი, კვარაცხელია, ცხადაძეები და ნემსაძე. ოთხივეს ტრავმები აწუხებთ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გუნდში ოპტიმისტური განწყობაა და მთავარი მწვრთნელის მსგავსად, ფეხბურთელებიც მოსაგებად შეშართულნი არიან.

ირლანდიაში ჩასული ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), დავით გვარამაძე (ა.ო. „ოლიმპი"), ალექსანდრე ბობოხიძე (ტორპედო, ქუთაისი).

მცველები: ალექსანდრე ხიზანიშვილი (ა.ო. „ოლიმპი"), ზაზა სილაგაძე (ა.ო. „ოლიმპი"), ალექსანდრე ხვედელიანი (ა.ო. „ოლიმპი"), ნიკა ლებანიძე (ა.ო. „ოლიმპი"), ალექსანდრე ხიზანიშვილ

ლიხს იქით და ლიხს აქეთ

«ჯიკო» — საქართველოს ორგზის ჩემპიონი!

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იცხებ ემოციებით სპორტი რაიონისა და ქვეყნის სიამაყედ

გასული წლის ქალთა ეროვნული პირველობა ფრენბურთში სრულიად დამსაფრებულად მოიგო დიდი ჯიხაიშის ნიო ნიოლაძის სახელობის სახელმწიფო კოლეჯის გოგონათა გუნდმა „ჯიკომ" და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. ეინც პირველობას თვალს ადევნებდა, ან ტელეეკურ შეხვედრებს მაინც გაეცნო, განსაკუთრებული წინასწარმეტყველების უნარის გამოჩენა ნამდვილად არ დასჭირვებოდა იმის პროგნოზირებისათვის, რომ „ჯიკო" 2003 წელსაც პირველობას არავის დათმობდა.

აქვე, იმ არცთუ უსაფუძვლო მოსაზრების შესახებაც უნდა ითქვას, რომლის თანახმად, სპორტში და არა მარტო სპორტში, მაღალი შედეგის მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. მაგრამ მიმდინარე წელს, საქართველოს ჩემპიონის რანგში „ჯიკოს" კლავე აღზევების უდავოდ შეეწყო ხელი ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადების კარგმა დონემ.

რაც შეეხება „ჯიკოს" მთავარ მწვრთნელს, იმავდროულად დიდი ჯიხაიშის ნიო ნიოლაძის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორს ნუგზარ მიქაძეს, ის საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც და ჩვენი ქვეყნის ფრენბურთიდან ქალთა ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელიც. ამ პიროვნების ვედაგოგიური თუ სპორტული საქმიანობა ცალკე საუბარს თქმაა, მაგრამ მაინც უნდა გავიცნოთ ხაზი იმ ოცდაშვიდწლიან გამოცდილებას, რომელიც მას სპორტის ამ სახეობაში დაუგროვდა. სწორედ მან, წინა თაობებთან ერთად ნახევ-ნახევ განცლო ის გზა, რომელმაც დღევანდელობაში, თავის გაწურვისილ უცილოს მეგობრებთან ერთად, იმ წარმატებამდე მიიყვანა გუნდი, რასაც ქვეყნის ჩემპიონობა ჰქვია. სიტყვა მეგობარი შემთხვევით არ ვახსენე. ბატონ ნუგზარი გოგონებისთვის არა მხოლოდ მწვრთნელ-მასწავლებელია, არამედ მამა-შეილური სითბოსა და მზრუნველობის გამომხატველი უფროსი მეგობარიც. ასეთი თვისებები იშვიათობაა, რომელიც მას მამისგან, ცნობილი პედაგოგის, პოლკოვნი მიქაძისგან გადმოეცა. ნაფილი მის ხსოვნას!

ახლა კი უშუალოდ მიმდინარე 2003 წლის ქალთა ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების შესახებ ფრენბურთში, რომლის დასკვნითი ტური საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, დიდი ჯიხაიშის ნიო ნიოლაძის სახელმწიფო კოლეჯის სპორტულ დარბაზში ჩატარდა.

ამ ეტაპზე „ჯიკოს" მეტოქეები იყვნენ: საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის ნაკრები, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი „იბსუ" და დუშეთის ნაკრები. ფინალური ტურნირის პირველ დღეს, დასაწყებული ოთხეულის ლიგერმა „ჯიკომ" იოლად სძლია საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის ნაკრებს, ხოლო „იბსუმ" დუშეთის ნაკრებს მოუგო.

24 აპრილს გამართული გადამწყვეტი შეხვედრებიდან პირველად შედგა მატჩი მესამე სპარიო ადგილისათვის, რომელშიც ახალგაზრდა პერსპექტიული მთავამავეები დაკომპლექტებულმა დუშეთის ნაკრებმა 3:0 დაამარცხა საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სკოლის ნაკრები და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. ეს გუნდი. სპეციალისტთა აზრით, წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენად იქნა მიჩნეული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში განცნა კიდევ ერთი ახალი რაიონი, რომელიც ჯერჯერობით ყურადღებას უთმობს სპორტის ამ სახეობას. ყოველივე იმის იმედს იძლევა, რომ ქალთა ფრენბურთით ჩვენში, სხვადასხვა რეგიონების ძლიერმეთ, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო განვითარდება და აღორძინდება.

მესამე სპარიო ადგილის მფლობელის გარკვევის შემდეგ ფინალური მატჩის მონაწილეთა ღროც დადგა და გასული წლის მსგავსად, უმთავრეს შეხვედრაში, „ჯიკოს" თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი „იბსუ" დაუპირისპირდა. წყვილთა შორის უდავო ფავორიტად „ჯიკო" მოიაზრებოდა და ეს ნუგზარ მიქაძის გაწვრთნილმა გოგონებმა რეალობად აქციეს — გამოცდილ მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვეს და დამაგერებლად დაამარცხეს იგი — 3:0. აღსანიშნავია, რომ „იბსუ" არც ერთ პარტიაში არა თუ წინ გასულა, ანგარიშის გათანაბრებაც კი ვერ მოახერხა გადამწყვეტ შეხვედრაში. აწ უკვე ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონთა შორის, კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა გუნდის კაპიტანი ნონა ღონჭილია. შეტევით ხაზში შეუდარებელი იყო მარიკა ვაშაკიძე, რომელიც ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ იქნა დასახელებული, და საერთოდ, მთელი გუნდი, თავისი სრული შემადგენლობით, ქებათა-ქებას იმსახურებდა.

დასკვნითი ტურის გადამწყვეტი მატჩების დასრულების შემდეგ მოეწყო გამარჯვებული და სპარიოი ადგილებზე გასული გუნდების დაჯილდოება. ეგრეთვე ჩემპიონატის საზეიმო დახურვა, რომელშიაც მონაწილეებიენ საპატიო სტუმრები, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახელიანი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი იეანე ბეცაძეიშვილი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფრენბურთში ვაჟა კაჭარავა, საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ირაკლი ჩაჩუა. ჩემპიონებს სპეციალური პრიზები გადასცეს სპორტდეპის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ რამაზ თელიამ, სოფლის გამგებელმა თემურ ვაშაკიძემ დიდი ჯიხაიშის ნიო ნიოლაძის სახელობის სახელმწიფო კოლეჯის პედაგოგებმა და სტუდენტებმა, სამტრედიის №11 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და სხვებმა. საპატიო სტუმრთა შორის იყვნენ ჩვენი რაიონის სპორტის ვეტერანები: ჭიმალ ნიკურაძე, მანანა ტყემალაძეები, ელიკო ახობაძე, ინგა ხარაიშვილი.

ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახელიანმა დარბაზს ფრიად სასიხარულო ცნობა აუწყა იმის შესახებ, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქართული სპორტის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის, ნუგზარ მიქაძის სპორტის მასწავლებლად მუშაის წოდება მიანიჭა, ეს ინფორმაცია თავად ადრესატისთვისაც კი მოულოდნელი სიურპრიზი გამოდგა.

საგულისხმოა ისიც, რომ „ჯიკოს" გუნდის წევრების ჩემპიონობასთან ერთად წლის პირველ ნომრად დასახელებაც არ ეღებოდათ. სპეციალისტებმა 2002-2003 წლების სეზონის საუკეთესო ფრენბურთელად, ნუგზარ მიქაძის შეგირდი ნათია არველაძე დაასახელეს. მან თავისი მაღალტექნიკური და სტაბილური თამაშით სამყაროს სამარისებრად დაიმსახურა ასეთი აღიარება.

დიდი ნიო ნიოლაძის მშობლიურმა კუთხემ ყველა ასპექტში ღირსეულად გაართვა თავი სასპორტმეტლო დავალებას. ფინალური ეტაპის საზეიმო გახსნა და დახურვა, რომელშიც აღგილობრივი თვითშემოქმედების კოლექტივებიც მონაწილეობდნენ, ჩინებულად იყო ორგანიზებული. მოასპარეზე გუნდებსაც ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი თავიანთი შესაძლებლობების გამოსავლენად. ახლა კი, გაგიკვირდებათ საქართველოს ორგზის ჩემპიონი გუნდის შემადგენლობას: ნონა ღონჭილია, მარიკა ვაშაკიძე, ნათია არველაძე, მარიკა გერლიანი, თამთა დავითაძეები, თეკო მიქაძე, თამარ ვაშაკიძე, თამარ გვანცელაძე, მაია მანჯგალაძე.

მათთან ერთად „ჯიკოს" წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დიდი ჯიხაიშის მკეთრს, უკეთილშობილეს პიროვნებას, ქართული სპორტის დიდ ქომაგს და მეცენატს გელა ლეკვეიშს. სპორტსულს „ჯიკოს" დირექტორს და დიდი ჯიხაიშის სოფლის გამგებელს თემურ ვაშაკიძეს, ამაგე კლუბის მეზვერეს, ბებრ სანეხლიძეს და, რა თქმა უნდა, „ჯიკოს" ყველა მოყვარეს მთავარ შემოქმედს — ნუგზარ მიქაძეს.

მამუკა ჩხეიძე,
სამტრედიის რაიონის სპორტა-ომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი გიუაშვილი

ელდარ ქურტანიძის ტურნირი ანალიზში

ცნობილი სპორტსმენები მისაბაძი არიან ახალგაზრდა თაობისთვის, განსაკუთრებით მოზარდებისთვის, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ სპორტში.

მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი და ევროპის ოთხჯერ ჩემპიონი ელდარ ქურტანიძე საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაებეთა ლიდერია. იგი ყოველთვის და ყველგან ზეიმი ახლავს მის გამოჩენას. ამ დღეებში ელდარ ქურტანიძე ახალციხეს ეწვია, სადაც მისი სახელობის ტურნირი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული 15 გუნდის 120 ნორჩი მოჭიდავე მონაწილეობდა.

გამარჯვებულები თვით ელდარ ქურტანიძემ დაასილდოვა სხვა სტუმრებთან ერთად. გაგაცნობთ წონით კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს: 23 კგ — ირაკლი მალაკელიძე (ბალდათი), 26 კგ — გიორგი ნოზაძე, 29 კგ — ვუკრი ნადიბაიძე, 32 კგ — ვასიკო მამულაშვილი (სამტრედია — ახალციხე), 35 კგ — მიშიკო თედიაშვილი (საგარეჯო), 38 კგ — დათო ხუცუბიშვილი (ასპინძა), 42 კგ — თორნიკე როსებაშვილი, 46 კგ — მამუკა ბათმანიშვილი, 50 კგ — მამუკა ცურტანიძე, 54 კგ — ირაკლი ოფრიაშვილი (ყველა — ახალციხე), 58 კგ — გოჩა ბოლქვაძე (ქედა).

ჭიდაობის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაციის თავმჯდომარემ ზაზა ჩილინგარაშვილმა მადლობით მოიხსენია ის ადამიანები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს შეამჭიდავად ორგანიზებული ამ ტურნირის ჩატარებაში. ესენი არიან: რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული თემურ მოსიაშვილი, ოსეთის შემსრულებელი დირექტორი მერაბ ბერიძე, ბიზნესმენი ავთანდილ ჯოჯუა, წითელი ჯვრის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე კობა კაკაბაშვილი, პოლიციის მე-6 განყოფილების უფროსი ოლეგ თათუაშვილი, სამხარეო ფედერაციის სპატიო თავმჯდომარე ვაჟა ბერიძე, ადგილობრივი საგაზსამაროს უფროსი გელა ლონდარიძე.

„ლელოს" საკ. კორ. ახალციხე.

„სოფელ თელეთს ამაღლებას"

„შავნაბადას" გადაღმა, დედაკაქის ერთ-ერთი კარიბქე — თელეთი სპარათინ-სარიბელიანის ცნობილი სოფელია. განთქმული ჭიდაობითაც. აქ ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულზე საუკუნეებია იმართება დიდი ქართული ჭიდაობა. ლეგენდარულ გმირ ქალ ანა-ბაჭაც უჭიდავია აქ „თელეთობის" დღესასწაულზე. ამაღლება და თელეთობა სოფლის ერთი და იგივე დიდი დღესასწაულია.

იეთიმ გურჯის (დაბი ნეული) პირველ პოემაში „გმირი ანა-ბაჭის ლექსი" (1895 წ) კარგად ჩანს თელეთი და აჭარა გატაცება ჩვენი მამაპაპური ტრადიციით — ქართული ჭიდაობით.

თელეთის სპორტის მოღაწე, აქაური სპორტის ენთუზიასტთა ლიდერი გივი ქარუელიშვილი „ნემსის ყუნწში" ქერება და „თელეთობისა" და „შავნაბადობის" დღესასწაულებზე ქართული ჭიდაობის ზეიმებს აწყობს. ასე იყო წლევანდელ თელეთობაზეც, სადაც მთავარი სპორტული მოვლენის — ჭიდაობის გარდა, იქვე, სტადიონზე გაიმართა ნორჩთა ტურნირი ფეხბურთში და მოზრდილების ჭიდილი მკლავებში.

ქართულ ჭიდაობაში მძიმე წონასა პაექრობაში ზედიზედ მეორედ „ცოცაბალი პრიზი" — ქედელი დაიმსხურა მეზობელი სოფლის კოდის მოჭიდავემ — გიორგი გიგოშვილმა. დანარჩენ წონით კატეგორიებში გამარჯვებულთაგანაც გვინდა გამოყოთ თენგიზ ცანკვიანი, რომელიც ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ კოჯრის ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მოსწავლეა. სხვა წონებში გაიმარჯვეს: მურრასლ ყურანაშვილმა, აზატ მუსაევმა, თენგიზ მამედოვმა (სამივე — არახლო, ბორჩალოს), ვაჟა ლალიაშვილმა, გიორგი მამელაშვილმა, ლადო ასლანიშვილმა, პაატა იაშვილმა, შოთა თორმანიძემ (ყველა — თელეთის), ზეციმიერაშვილმა (ნორიოს), მურად გეიანიძემ (ყვარელი) და გიორგი ბაჭიაშვილმა (მუხაური).

თელეთობის ჭიდაობის ზეიმზე საქართველოს პრეზიდენტის რწმენებული (ეუხერნატორმა) ქუმეს ქორთლში სპორტულ და ფიზკულტურულ საქმიანობაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის „ლისების ორდენი" გადასცა თელეთელთა და ამ მხარის სპორტის თაყვანის გვეი გურულიშვილს.

ბოლოს ჭიდაობის მაყურებელ იეთიმ გურჯს დავესხსენით. სხვათა შორის, იეთიმ-გურჯი ხშირად ქართული ჭიდაობის მსაჯიც იყო...

„დაიწალა ჭიდაობა, ხალხი ჰკვირობს ყოველ იმ დღეს ოცდაორი დასცა, არვის არ ჰქონდა ფერია".

ბესიკ ბაბოძე

იპ მაზანაშვილის ბრწყინვალე დებიუტი

ქ მოსკოვში გაიმართა III საერთაშორისო ტურნირი ილეთში. ტურნირზე ქართველი აიკიდოისტების მონაწილეობდნენ: საქართველოს ტოპიკი აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტი ვახტანგ სამარულაშვილის წევრები ია მაზანაშვილი, ალექსანდრე ხეროდნაშვილი და გიორგი ბასილია. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგ სიხარულაშვილმა „ლელოს" კორესპონდენტს უთხრა: „აიკიდოში შეჯიბრება ახსოლუტურ წონით კატეგორიაში ტარება. ამიტომაც სხვა სპორტებისგან განსხვავებით, სადაც 8-12 წონითი კატეგორიაა და ამდენივე ჩემპიონი ვლინდება, აიკიდოს ტურნირზე მხოლოდ თითო გამარჯვებულია კაცებში და ქალებში. ჩვენს ნაკრებში ერთადერთი გოგონას დამსაჯურებით, შინ ხელაკრულები არ დაბრუნებულვართ. ია მაზანაშვილი თუმცა ყველაზე უმცროსი (15 წლის) და მსუბუქი იყო, სამი მოწინააღმდეგე დაამარცხა და ფინალში 38 წლის ქალს შეხვდა. ია მეორე ადგილზე გავიდა და ტურნირის ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეუნდა აღინიშნოს, რომ ისთვის ეს იყო დებიუტი საერთაშორისო ტურნირებში.

ცმაყოფილი ვარ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით. მათ დიდი გამოცდილება მიიღეს. მიხარია, რომ ჩვენს ფედერაციას კიდევ ერთი მედალი შეემატა (პირველ ადგილს იქნება ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე. ჯერჯერობით დამსაჯა არსადან ჩანს, თუმცა მრავალგზის მიგმართეთ დამპარტნიორებისათვის ბიზნესმენებს, ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებსაც კი".

სპორტსმენი ია მაზანაშვილი და მისი მწვრთნელი ვახტანგ სამარულაშვილი

მოგების წყურვილით ირლანდიაში

პირველი გვერდიდან

(დინამო თბ); **მცველები:** ზურაბ ხიზანიშვილი (დინამო თბ), ჯაბა კალაძე (მილანი, იტალია), გიორგი შამიაშვილი (დინამო თბ), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო თბ), გიგი დიდავა (ქოჯაელი, თურქეთი); **ნახევარმცველები:** ლადო ბურდული (დინამო თბ), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი), ვიტალი დარასელია (დინამო თბ), დავით სირაძე (ლოკომოტივი), გიორგი ჭინქლაძე (დერბი, ინგლისი), ალექსანდრე რებიაშვილი (ტორპედო-მეტალურგი, რუსეთი). **თავდამსხმელები:** გიორგი დემურაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), რატი ალექსიძე (დინამო თბ), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), შოთა არველაძე (რენჯერსი, შოტლანდია). საკართველოს ნაკრები „ბრძოლის ველს" „ლეზს დაუ რიოუს" დღეს დაუპირისპირდება მატჩამდე ბოლო ვარჯიშს გამართავს. ეროვნულ ნაკრებთა მატჩს ესპანელი მსაჯები — ედუარდო იტურალდე გონსალესი, რაფაელ გერერო, ალონსო, ანტონიო კარდოს პატენტა და ალფონსო პერეს ბურული გაუძღვებიან. დელეგატები არიან: სლოვენიელი დანე იოსტი და ფრანგი შიშელ ქერარდი. მატჩი თბილისის დროით, დაახლოებით 23.30 საათზე დაიწყება.

ეროვნულ ნაკრებთა მატჩამდე, დღეს დუბლინიდან სამოცდაათი კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კილკენში ითამაშებენ ოლიმპიური გუნდები. შეშაყის ნაკრების საყდრო პრობლემებმა, არველაძის გუნდის შემადგენლობის შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია. ქართველები ირლანდიელ თანატოლებს ძირითადის სამი ფეხბურთელის გარეშე დაუპირისპირდებიან. ამისულაშვილი, ასათიანი და სირაძე ეროვნულ ნაკრებს დაეხმარებიან. ჩვენს ოლიმპიურ გუნდს ჭეშტდიდან გასულის შანსი, დიდი ხანია, დაკარგული აქვს, მაგრამ ირლანდიელებთან თანაბრად ერთი ვიცი, თავი არ უნდა დაეზღვიოთ მოგებისათვის. ბედნიერი ვარ, რომ ყველანი ამ აზრზეა".

ნუგზაძის არყოფნაში საქართველოს ნაკრებს ახალ კალაძე უკაპიტნებს



ირაკლი შეშაძე

მატჩის წინ

გიორგი ლობჟანიძე: „ყველანი მოგების სურვილით მივდივართ, შეიძლება ითქვას, საბრძოლველად. დარწმუნებული ვარ, რომ ირლანდიელებიც არ იქნებიან პესიმისტურად განწყობილნი. რა თქმა უნდა, შეიცდებიან გვაჯობონ. ჩვენ ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ".

რატი ალექსიძე: „ჩემი აზრით, რუსეთთან რომ განწყობა იყო, იმაზე მეტი განწყობაა ამ თამაშის წინ. ყველანი ვგმზადებთ, რომ შედეგს მივაღწიოთ, ვნახოთ რა გამოვიგეა. შეშაყს არ ჰქონია საუბარი ჩვენთან, თუ ვის დაიყენებს ძირითადში, მაგრამ თამაში რომ შეუძლია, თბილისურმა მატჩმაც დაამტკიცა. სტუმრად კარგი თამაში კი პრესტიჟის საქმეა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში: **მეკარეები:** ზურაბ მამალაძე (მილანი, წწორი, საქართველო), მანუჩარ ცისკარიშვილი (ლოკომოტივი). **მცველები:** დავით გამგებარაშვილი (ტორპედო), გიორგი ციმაკურიძე (შახტიორი, დონეცკი, უკრაინა), გიორგი ბერიანიძე (ლოკომოტივი, მინსკი, ბელარუსი), ედიკ სანია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ილია კანდელაკი (დინამო თბ), ალექსანდრე ინწკირველი (ციტ ჯორჯია), ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი); **ნახევარმცველები:** ანზორ კალაძე (ურალანი, რუსეთი), დავით ჭოჭიშვილი (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), რომან ახალაია (ტორპედო), გიორგი ჩხეტიანი (ტორპედო), გიორგი დეკანოიძე (ფიორენტი, გერმანია), გიორგი ნუგზარის ძე ქელენე (ოლიმპი), გიგა ხოჭავა (ოლიმპი). **თავდამსხმელები:** მიხეილ ბობოხიძე, ლადო ახალია (ორიგე — დინამო თბ), ლაშა რებიაშვილი (რუხი, პოლონეთი); ახალგაზრდულ ნაკრებთა მატს მოემსახურება ლუზმხეტგელი მსაჯი რობერტ ირნსდორფი.



ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

I ჯგუფი

ისრაელი — სლოვენია 0-0
მალტა — კვიპროსი 0-1

II ჯგუფი

დანია — ნორვეგია 2-0
რუმინეთი — ბოსნია 0-1

დღეს

ლუქსემბურგი — დანია
ნორვეგია — რუმინეთი

III ჯგუფი

მოლდოვა — ავსტრია 0-1
ბელარუსი — პოლონეთი 2-1

დღეს

ავსტრია — ბელარუსი

ხვალ

ჩეხეთი — მოლდოვა

IV ჯგუფი

უნგრეთი — ლატვია 3-1
სანმარინო — შვედეთი 1-5

დღეს

შვედეთი — პოლონეთი
სან მარინო — უნგრეთი

V ჯგუფი

შოტლანდია — გერმანია 2-2

დღეს

ლიტვა — ისლანდია

VI ჯგუფი

ესპანეთი — სამხრეთ კორეა 2-0
უკრაინა — სომხეთი 4-0

დღეს

ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი
სამხრეთ კორეა — უკრაინა

VII ჯგუფი

სლოვაკეთი — თურქეთი 0-1
მაკედონია — პორტუგალია 1-4

დღეს

ინგლისი — სლოვაკეთი
თურქეთი — მაკედონია

VIII ჯგუფი

ბულგარეთი — ბელგია

დღეს

ესტონეთი — ხორვატია

IX ჯგუფი

ფინეთი — სერბია-ჩერნოგორია 1-2

დღეს

ფინეთი — იტალია
აზერბაიჯანი — სერბია-ჩერნოგორია

X ჯგუფი

შვეიცარია — რუსეთი 1-0
ირლანდია — ალბანეთი 2-1

დღეს

ირლანდია — საქართველო
შვეიცარია — ალბანეთი



სატურნირო მდგომარეობა

I ჯგუფი

საფარანგეთი	5	5	0	0	10-0	15
კვიპროსი	6	4	0	2	8-3	12
სლოვენია	5	2	2	1	3-1	8
ისრაელი	5	1	1	3	1-8	4
მალტა	7	0	1	6	0-10	1

II ჯგუფი

დანია	5	4	0	1	15-3	12
ნორვეგია	5	3	1	1	9-2	10
ბოსნია	5	3	1	1	4-4	10
რუმინეთი	5	1	0	4	3-5	3
ლუქსემბ.	4	0	0	4	0-17	0

III ჯგუფი

ჩეხეთი	4	4	0	0	11-1	12
ავსტრია	5	3	1	1	5-4	10
ბელარუსი	5	3	0	2	6-6	9
პოლონეთი	5	0	2	3	4-9	2
მოლდოვა	5	0	1	4	3-9	1

IV ჯგუფი

პოლონეთი	4	4	0	0	18-3	12
შვედეთი	4	3	0	1	12-6	9
უნგრეთი	5	3	0	2	14-8	9
ლატვია	5	2	0	3	7-11	6
სანმარინო	6	0	0	6	4-27	0

V ჯგუფი

გერმანია	3	2	1	0	7-3	7
შოტლანდია	4	2	1	1	6-4	7
ლიტვა	4	2	0	2	5-7	6
ისლანდია	3	0	0	3	1-5	0

VI ჯგუფი

ესპანეთი	5	3	1	1	8-1	10
სამხრ.კორეა	5	3	1	1	10-6	10
უკრაინა	5	1	4	0	7-3	7
სომხეთი	5	1	1	3	4-12	4
ჩრდ.ირლ.	4	0	1	3	3-10	1

VII ჯგუფი

თურქეთი	5	4	1	0	12-4	13
პორტუგ.	5	4	0	1	13-7	12
ინგლისი	4	2	1	1	10-6	7
სლოვაკეთი	5	1	0	4	3-9	3
მაკედონია	5	0	0	5	2-14	0

VIII ჯგუფი

ხორვატია	3	2	1	0	7-3	7
ბელგია	4	2	1	1	6-4	7
ბულგარეთი	4	1	1	2	5-8	4
ესტონეთი	3	0	1	2	2-5	1

IX ჯგუფი

იტალია	4	4	0	0	10-2	12
სერბ.-ჩერნოგ.	4	2	1	1	9-8	7
ფინეთი	5	2	1	2	9-7	7
უელსი	4	2	0	2	6-4	6
აზერბაიჯანი	5	0	0	5	0-13	0

X ჯგუფი

შვეიცარია	5	4	1	0	8-2	13
რუსეთი	5	4	0	1	10-2	12
ირლანდია	5	1	1	3	5-8	4
ალბანეთი	5	1	1	3	3-7	4
საქართველო	4	0	1	3	1-8	1

ორმოცი წლის წინათ...

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს მრავალჯერ გაუხარებიათ თავიანთი თაყვანისმცემლები კარგი, გააზრებული და მოუნილი თამაშით დაცვაში, ვირტუოზული ტექნიკით, იმპრომიზაციით და ელეგანტური შეტევებით თავდასმაში. მათი ძირითადი და მეღობივი იარაღი იყო მოწინააღმდეგე მცველთა მოტყუება, ფინტები, გვერდის ასული და სწრაფი გარღვევები. იმ დროს, როდესაც ბევრი გუნდი მოდას აძლევდა ხარს, ახდენდა ძალთა გადაჯგუფებას და აძლიერებდა დაცვას, მაშინაც კი თბილისელი ფეხბურთელები რჩებოდნენ ავერსიული და შემტევი ფეხბურთის მომხრეებად, სახელდობრ, აქტიურად და მიზანსწრაფულად გამოირჩეოდნენ ფლანგური შეტევებით. შემთხვევით არ იყო, რომ სწორედ თბილისის „დინამოში" თამაშობდნენ ეფროპასა და მსოფლიოში ცნობილი მცველები — ჩოხელი, ხერკილაძე, ძოძუაშილი, ჩიკაძე და სხვები, მსოფლიოში განთქმული, ლეგენდარული „ქართული ფრონტი" — მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი. თუ პირველი გამოირჩეოდა ვირტუოზული და კასკადური ფინტებით, მეორე ელვისებური გარღვევებით და ზუსტი პასებით ამაახოვრებდა თავს გეშმატკივრებს. გაცილებით აღრე, სწორედ თბილისის „დინამოში", საბჭოთა კავშირის სხვა გუნდებისგან განსხვავებით, დაიბადა „მოხეტიალე" ფორვარდი ბორის პაიჭაძე, შემდგომში „ფეხბურთის კარუზოდ" მონათლული...

შემთხვევით არ იყო, რომ სწორედ თბილისელ მცველებსა და თავდამსხმელებს ხშირად იწვევდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ, აგრეთვე ევროპისა და მსოფლიო ფეხბურთის ნაკრებებში.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად იყო შემთხვევები, როდესაც თბილისის „დინამოს" ხანდახან ახასიათებდა პრაქტიკულად უქონლობა, უდისციპლინობა, ნებისყოფის ნაკლებობა, გამარჯვებისადმი ფინის შესუსტება, მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე თამაშისას შებოკილობა და ეუნერობა, რასაც ხშირად ხელს უწყობდა არაობიექტური, ტენდენციური და ზოგჯერ ყოველად უსინდისო, ლუბსელი და დისკრიმინაციული მსაჯობა.

1963 წელს მოსკოვის „ტორპედოდან" თბილისის „დინამოში" გადმოვიდა სლავა მეტრეველი, რომელმაც შესამჩნევად გააძლიერა თბილისელთა თავდასმა. სლავა მეტრეველი და მისი მეცხრე თავდასხმის ფლანგების, ხოლო ზაურ კლიქაი და ვლადიმერ ბარკანა ცენტრში უფრო მეტად შეთამაშდნენ და ხშირსაც ხალად იჭერნენ ნებისმიერი მოწინააღმდეგე გუნდისათვის. ისინი გამოირჩეოდნენ იმპროვიზაციით და კომბინაციური თამაშით და, რაც მთავარია, მაღალი შედეგიანობით.

ჩამოყალიბდა გუნდის ძირითადი შემადგენლობა: სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ჯემალ ზუნდერაშვილი, გურამ პატრიკაშვილი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარკანა, სლავა მეტრეველი, ზაურ კლიქაური, მიხეილ მესხი, ილია დათუნაშვილი... ყველანი თითქმის ერთი ხნისა და თანაშოსწრები იყვნენ, ერთმანეთს მშრალი მიდრეკილებით და გაგებით გამოირჩეოდნენ.

1963 წლის სეზონის დასაწყისშივე თბილისის დინამოელებმა მშვენიერი სტარტი აიღეს. 31 მარტს პირველ მატჩში თბილისელებმა მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი" და დაამარცხეს დიდი ანგარიშით 4-0. შემდეგ თამამდეგრეულად დაამარცხეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" (1-0), მოსკოვის „ტორპედო" (1-0), ფრენ თითმაშეს ქუთაისში „ტორპედოსთან" (0-0) და ერევანში „არარატთან" (1-1), მოუგეს ალმაატის „აყარატს" (3-1), ტაშკენტის „პახტაკორს" (4-2), ხარკოვის „ავანგარდს" (4-0), ლენინგრადის „დინამოს" (3-0) და ა.შ. ჩემპიონატის მე-14 ტურში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ კიევის „დინამო" და თბილისის „დინამო". ამ მატჩამდე თბილისელებს ჰქონდათ 18 ქულა, ხოლო კიეველებს — 12.

დრონები ფეხბურთის თემიდან გადაეუქცევა და გაეხსენებ, თუ როგორ აღმოენჭრნენ თბილისისა და კიევის დინამოელთა მაშინდელი შეხვედრის თითმბილველი და მოუშე, თუ რა ვითარებაში და როგორ მიმდინარეობდა მათ შორის მატჩი. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში ემუშაობდი ელექტრომშედეულების მოწყობილობათა საკადრო

იხ. 33-4 33

ᲠᲠᲐᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ...

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲠᲘᲓᲚᲐᲜ

რო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ლაბორატორიის გამგედ. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიდან გამომდინარე, ჩვენ პირდაპირი და უშუალო კონტაქტები გვქონდა კიევის პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტთან.

თემატიკიდან გამომდინარე, პატონის სახელობის ინსტიტუტთან ერთად უნდა დაგემუშავებინა ერთ-ერთი შედუღების უნივერსალური ავპარატის მთავარი ნიშები, და რომ ეს აპარატი ათვისებული და სერიულად გამოშვებული იყო თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღებში".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭირო და აუცილებელი იყო კიევში ჩემი ჩასვლა. მიგილებში წასვლის დრო ზუსტად დაემთხვა ჩვენი დინამოელების გასვლით მატჩს და მეც მათთან ერთად თამაშის დღეს — 13 ივნისს დილით ადრე კიევში გავფრინდი.

ბორისპოლის აეროპორტში დამხვდნენ კიეველი უფროსი კოლეგები. მათ მომაწვდეს სასტუმრო „მოსკოვში" და შემდეგ წამიყვანეს ისტიტუტში, სადაც წინასწარ შევაღწიენით მომავალი მუშაობის ერთობლიეი გეგმა. თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე წავედით კიევის ცენტრალურ სტადიონზე. გზაზე ნიძლავი დამიდეს, რომ თამაშს კიეველები მოიგებდნენ და ამას დარწმუნებით მეუბნებოდნენ. თამაშის ფრედ დამთავრება ხელს მაძლევდა, რადგან ფრე მე დამითმეს.

დაიწყო თამაში და უკვე მესამე წუთზე კიევლებმა ანგარიში გახსნეს. 25 მეტრიდან სუსტად დარტყმული ბურთის მოგერიება სერგო კოტრიკაძემ რატომღაც ვერ შეძლო. ბაზლევიჩმა თავისუფლად შეაგორა ბურთი ჩვენს კარში. მე იმედს არ ვკარგავდი, რომ თბილისელები თამამშობდნენ, მაგრამ გადის ათი წუთი და ანგარიში 2-0 გახდა კიეველთა სასარგებლოდ. ბურთი სერეზრიანოკოვმა გაიტანა. შესვენებაზე გენდები წავიდნენ, რადგანაც ანგარიში 2-0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. სიმპთოვე გითხრათ, ასეთი დასაწყისს არ ველოდი.

თბილისის დინამოელებმა შესვენება სტადიონის მინდორის კიდეზე გაატარეს. ვფიქრობ, რომ ფუტბურთელებს ესაუბრება და პირველი ტაიმის პირადეტების მწვრთნელი ალეთმა კოტრიკაძე არჩევს. ვერ მოვითხრობ და გადავწყიტე გამერკვია რა ხდებოდა? სად იყო იმ დროს უფროსი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი? როგორც იქნა მივაღწიე ჩვენს ფუტბურთელებმდე, ბორის სიჭინავა, რომელსაც ყველზე ახლოს და კარგად ვიცნობდი, ვკითხეთ — „სად არის იაკუშინი?" პასუხი ყოველდ მოულოდნელი იყო — „ის სასტუმროო „თეატრალურში" დატოვეთ, ნასვამია, სძინავს". ყველაფერი ცხადი გახდა...

მეორე ტაიმში სულ მალე ანგარიში 3-0 გახდა კიეველთა სასარგებლოდ. ჩვენი დაცვა და მეკარე ძალზე შეუთანხმებლად თამაშობდნენ. სლავა მეტრეველს და მიხეილ მესხს კიეველთა მკვეთრები ილეთებით და უხეშად ეთამაშებოდნენ. მთავარი მსჯის ბრძოლის სასტვენი კი სდუმდა. ერთადერთი გოლი გაქვითა ვლადიმერ ბარკაიამ, ინდივიდუალურად, მოედნის ცენტრიდან, დრიბლინგით შეიჭრა კიეველთა საჯარიმოში და ბურთი მაყაროვის კარში შეაგდო. ანგარიში 3-1 გახდა კიეველთა სასარგებლოდ. გადდა ცოტა ხანი და ანგარიში უკვე 4-ით მასპინძლების სასარგებლოდ. მაგრამ ჩემთვის ყველაზე უფრო მწარედ და თვიდასახსენებლად დარჩა კიეველთა ჯაბიტნის ანდრეი ბიბას მიერ 30 მეტრიდან გატანილი ბურთი ს. კოტრიკაძის კარებში. საბოლოოდ 5-1. გაიმარჯვეს კიეველებმა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ გადავხედავთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მატჩებს, დავინახავთ, რომ 1963 წლამდე კიეველებს ასეთი დიდი ანგარიშით თბილისელებისთვის არასოდეს მოუგიათ. რაც შეეხება თბილისელებს, — მათ კიეველებთან დიდი ანგარიშით მოგებული აქვთ: 1940 წელს 6-1, 1945 წელს 7-2 და 1949 წელს 6-1.

ჩვენი მიგლინება კიევში ოცდაინი იყო და 3 ივლისამდე გრძელდებოდა. ეს იმიტომ მოვიფიქრე, რომ თბილისელ ფეხბურთიელთა მიერ 1963 წლის 13 ივნისს განცდილი სრული კრაზის შემდეგ გავიდა თორმეტი დღე და ზუსტად 25 ივნისს კიევის „დინამოს" მიიღო და შეხვედრა გამართა საქართველოს მეორე გუნდთან ქუთაისის „ტორპედოსთან". თამაშზე წასვლის წინ ჩემმა კიეველმა მეგობრებმა მითხრეს, რომ თუ თბილისის „დინამოს" 5-1 მოუგეს, მაშინ ქუთაისელებს ათ ბურთზე ნაკლებს არ შეუგდებენო". მე ოფიციალურად განვაცხადე, რომ „ისე სამარცხვინოდ, როგორც თბილისელებმა ითამაშეს, არ გამეორდება და ქუთაისელები აჩვენებენ თუ როგორ უნდა თამაში". ჩემი ინტუიციით პროგნოზი გამართლდა. ტორპედოელებმა თამაშის დასწყისშივე აქტიური შეტევის კიეველებს და დიდი უპირატესობაც მიიღეს. მატჩის პირველ ნახევარში ქუთაისელთა ახალგაზრდა ცენტრფორვარდი ა. სირაძე კიეველმა მცველმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე მოცეა. მსაჯმა ალიმოგმა კიეველთა კარში სრულიად სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელიც უხეალოდ დარტყა ედუარდ თოროსმელ და ანგარიში გახდა 1-0 ქუთაისელთა სასარგებლოდ. კიევლებმა მხოლოდ მეორე ტაიმის მე-16 წუთზე შეძლეს ანგარიშის გაქვითვა, ბურთი გაიტანა სერგბრიანკოვმა. ქუთაისელთა მხრიდან განსაკუთრებით კარგად თამაშობდა ა. სირაძე, რომელსაც შეცილული ჰყავდა კიეველთა მთელი დაცვა ტურიანჩიკის მეთაურობით. მან მეორე ბურთიც კი გაიტანა კიეველთა კარში, მაგრამ მსაჯმა ალიმოგმა რატომღაც „თამაშგარე" დაფიქსირა და არ გააწბილა კიეველები. მატჩი ფრედ — 1-1 დამთავრდა. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ქუთაისელთა ცენტრფორვარდი ა. სირაძე. სამწუხაროდ, ის ძალზე მალე გაჭრა საფეხბურთო ჰორიზონტიდან.

სამოცოდოდ, 1963 წლის საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო ქუთაისის „ტორპედოს" - მე-12.

ასე იყო თუ ისე, მიხელ იაკუშინმა იმ წელს საფეხბურთო ჩაუყარა თბილისის „დინამოს" მომავალ გამარჯვებებს და 1964 წელს მის გარშემოინებას. აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ, რომ თბილისელებმა 1964 წლის სეზონი მ. იაკუშინის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიწყეს — ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვეს და... იაკუშინს ნაცვლად თბილისელებს სათავეში ჩაუდგნენ გაერიელ კანალინი. თუ როგორ გახდა პირველად თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ეს უკვე მომავლის სხვა თემაა.

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲩᲮᲝᲠᲪᲐᲫᲔ.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲣᲢᲑᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲖᲔ

ბავშვთა შორის გამარჯვებული გუნდი. I რიგში: გიორგი მელიქიშვილი, ბაჩო ქუთათელაძე, დათო ნადირაშვილი, ნიკა ჯანჯავაძე, ზაზა გურულიშვილი; II რიგში: თორნიკე ნადირაძე, მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე, გიორგი ყკაჭაძე, ზაზა თელია, ერეკლე ამაშუკელი, დათო უზუნიანაშვილი, ელგარ ჩობანიანი, ლაშა ჯგანაი.

ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა

ჭაბუკთა შორის გამარჯვებული გუნდი. მარცხნიდან I რიგში: ერეკლე გაგუა, ნიკა ჯანჯავაძე, ეთანდილ კვაკლიძე, გიორგი წურწუმია; დგანან: დავით ბადანაშვილი, ზაზა ბერჭენაძე, აკაკი კვაკლიძე, ირაკლი დარჯაანიძე, მწვრთნელი — ვახტანგ ბაქანიძე.

საქართველოს ფუტსსლის ასოციაციამ (პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა) „ქარშაილს" სპორტკომპლექსში 10-10 გუნდის მონაწილეობით ჩაატარა საქართველოს თასის გათამაშება ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდებს შორის. ბავშვებში ფინალში გავიდნენ 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდები „ვაკე" (მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე) და „თბილისი" (მწვრთნელი სოსო სირაძე). ფინალამდე წინასწარ შეხვედრაში „ვაკემ" ამარჯვა 3-2 ფინალში ძირითადი დრო დასრულდა ფრედ 1-1. პენალტებით გამარჯვება წილად ხვდა (4-3) და თასს დაეუფლა „თბილისი".

ჭაბუკებში ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ 35-ე სკოლისა (მწვრთნელი — ვახტანგ ბაქანიძე) და ფუტსალის ფედერაციის ნაკრება — „იმედი" (მწვრთნელები — ლევან გრიგოლია და პეტრე თაბაგარეი) გუნდები. ჯგუფში მათი შეხვედრა 7-3 დამთავრდა „იმედის" სასარგებლოდ. ფინალში კი 35-ე სკოლელებმა იმარჯვეს 12-7 და თასიც მათ ხვდათ წილად.

საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ბავშვებში — დათო უზუნიანაშვილი, ჭაბუკებში — ზაზა ბერჭენაძე (ორივე — 35-ე სკოლა). ფინალის საუკეთესო მცველად და მოთამაშედ ალიარეს ირაკლი ხორავიანიძე. პრიზები გადაეცათ სხვა ფეხბურთელებსაც. გამარჯვებული გუნდი ტურნირ გაემგზავრება შეირებაზე.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲠᲣᲜᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐ...

სამწუხაროდ, კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის ხსოვნის ტურნირის მოწმე გავხდით. ეს იყო ტრაგიკულად დაღუპული თორნიკე რუხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინიფეხბურთელთა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიაც 1991 წელს დაბადებული ნორჩ ფეხბურთელთა 10 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის თამაშის მცირის ოლიმპიური მზადების ცენტრმა (დირექტორი გ. ფუდისანი) უმასპინძლა. შეჯიბრებაზე გამოსასვლელად თბილისს ეწვია ვლადიკავკაზის „ალანიას" და ბერობაიჯანის „გიანდჟელის" გუნდები.

ორი ქვეგუნდიდან ნახევარფინალში გავიდნენ „საბურთალო", „მთავრის გლობუსი", „ალანია", და „იბერია". საბურთალოელებმა ჯობნეს „მთავრის გლობუსს" 3-1, „ალანიამ" მოუგო „იბერიას" 2-1.

მესამე ადგილისთვის „იბერია" — „მთავრის გლობუსის" შეხვედრაში (პენალტებით (4-2; ძირითადი დრო 2-2 დამთავრდა), გაიმარჯვა „მთავრის გლობუსმა". ფინალში „ალანას" მოუგო „საბურთალომ" პენალტებით 5-4. ძირითადი დრო აქაც ფრედ დასრულდა 1-1. გამარჯვებულ გუნდს მთავარი პრიზი — თორნიკე რუხაძის თასი გადასცა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დპარტმენტის თავმჯდომარემ ირაკლი მემარნაშვილმა.

საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს მეკარე — ალეკ ტამაეი („ალანია"), მცველი — ერეკლე ახალბედაშვილი („საბურთალოები"), ნახევარმცველი — სოსლან აბესალოვი („ალანია"), თავდამსმელი — დათო დათქაშვილი („მთავრის გლობუსი"). ბომბარდირის პრიზი წილად ხვდა ერეკლე კაჭახიძეს („საბურთალოები"). ყველაზე ტექნიკური მოთამაშის — გოგი ვალერის („ალანა"), საუკეთესო ფეხბურთელისა — ნიკუშა ბაცაცაშვილს („საბურთალო").

